AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

No.220516-001

16.05.2022წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს

გაცნობებთ, რომ „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისი“-ს მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესი“-ს (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 12 მარტის N2-240 ბრძანების საფუძველზე შპს „აისი“ ახორციელებს „ახალქალაქი ჰესი“-ს სამშენებელო სამუშაოებს.

ჰესის მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

- „ახალქალაქი 1 ჰესი“-ს სათავე ნაგებობაზე ტექნიკური (აუზებიანი) თევზსავალის ნაცვლად მდინარის ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალის (თევზსავალი არხი) მოწყობა;
- „ახალქალაქი 1 ჰესი“-ს სადაწნეო მილსადენის დერეფანში ორი მცირე შენაკადების გადაკვეთის ადგილებზე წყალგამყვანი ნაგებობების მოწყობა;
- „ახალქალაქი ჰესი“-ს 35 კვ ძაბვის ქვესადგურის 35 კვ ძაბვის ქვესადგურ „დილისკა“-სთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის N12 და N16 ანძების ადგილმდებარეობის მცირედი ცვლილება.
-

აღნიშნული ცვლილებები, წარმოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 ნაწილის მიხედვით, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

წარმოგიდგენთ „ახალქალაქი ჰესი“-ს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„16“ 05 2022 წ.
№ 1370

წერილს თან ერთვის:

- „ახალქალაქი ჰესი“-ს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და პროექტში შეტანილი ცვლილებების განხორციელების ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინატები SHPs ფორმატში;

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; hsabouri@ais-georgia.ge

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „აისი“-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით,

თეიმურაზ მათითაშვილი

შპს „აისი“- ს დირექტორი

AIS LLC
(Akhalkalaki HPP)

Add: No 13-4, IV Floor, VIII-Entrance, No12 Sulkhan Tsintsadze Str. Tbilisi, Georgia
Tell: (+995) 593 320 216 – (+995) 598 132 201
E-mail: tmatitashvili@ais-georgia.ge; hsabouri@ais-georgia.ge